**ხელშეკრულება N151**

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2014 წელი

გამარტივებული შესყიდვა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ, **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი,** წარმოდგენილი მისი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრე მირიანაშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
**მისამართი:** თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203851377

და მეორეს მხრივ, **შპს „ფლაგ არტი",** წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან დარჩიაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
**იურიდიული მისამართი:** ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 206160018
**საბანკო რეკვიზიტები:** სს ,,საქართველოს ბანკი'', ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE72BG0000000894356101
ვთანხმდებით შემდეგზე:

*მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები*

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

*მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი*

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის 1 (ერთი) ცალი საქართველოს სახელმწიფო დროშის (ორმაგი, ფოჩით, ზომა 100X150 სმ.) (შემდგომში საქონელი) მიწოდება (CPV-35821000).

*მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება*

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **155.00 (ასორმოცდათხუთმეტი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

*მუხლი 4. საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი*

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 (ერთი) ცალი საქართველოს სახელმწიფო დროშის მიწოდება უნდა განახორციელოს 2014 წლის 28 ოქტომბერს.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7

*მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია*

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

*მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

*მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის წუნდების მიზეზის მითითებით.

*მუხლი 8. ანგარიშსწორება*

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

*მუხლი 9. ფორს-მაჟორი*

9.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

*მუხლი 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები.*

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

*მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

11.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

*მუხლი 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები*

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

*მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5 თითოეული მხარე ვალდებულია 13.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

*მუხლი 14. დავათა განხილვის წესი*

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*მუხლი 15. დამატებითი პირობები*

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

*მხარეთა ხელმოწერები:*

| | |
|---|---|
| შემსყიდველის მხრიდან: | მიმწოდებლის მხრიდან: |
| **ალექსანდრე მირიანაშვილი** | **რომან დარჩიაშვილი** |
| ს. | |
| საფინანსო-სამეურნეო<br>დეპარტამენტის დირექტორი | შპს „ფლაგ არტი“-ს დირექტორი |